ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო
საბჭოს სხდომა #19

2018 წლის 4 ივნისს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით მეცხრამეტე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა 13 დელეგატი. სხდომას ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე. დელეგატებმა იმსჯელეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე და გარკვეული ტიპის რეკომენდაციებზე მუშაობენ.

დღის წესრიგი:
1. ბაგა-ბაღებში თანადაფინანსებით გადახდა;
2. დამხმარე პერსონალის საჭიროება ბაგა-ბაღებში;
3. შეხვედრა ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან და ინფორმაციის გამოთხოვა;
4. რეკომენდაციების განხილვა;
5. ტექნიკური წყალი;
7. საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობა ქალაქის მაშტაბით განსაზღვრულ ლოკაციებზე.

4 ივნისის სხდომაზე დელეგატებმა განიხილეს ბაგა-ბაღების მომსახურე პერსონალთა პრობლემები და საწიროებები. გაჩნდა მოთხოვნა სამზარეულოში დამხმარე პერსონალის საჭიროებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრები მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე და გადაწყდა უახლოეს სხდომაზე ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან შეხვედრა და ყველა საჭირო ინფორმაციის გამოტხოვა.ასევე საზაფხულო ბაღების როლის მომატება და გაძლიერება, რომლის შესახებაც მუსავდება რეკომენდაციები და წარედგინება ქალაქის მერს.

ასევე მრჩეველთა საბჭოს სურს ინიციატივა წარუდგინოს ქალაქის მერს ბ.-ნ ირაკლი ტაბაღუას ბაგა-ბაღებში გადასახადის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც მოქალაქეს მოუწევს გარკვეული პროცენტული წილის გადახდა. გათვალისწინებული იქნება დევნილი-შეჭირვებული და მრავალშვილიანი ოჯახები, ასევე სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები სოციალური სააგენტოს მონაცემების საფუძველზე.

რიგით მე-19 სხდომაზე დელეგატებმა ასევე განიხილეს ქალაქის წინაშე არსებული პრობლემები, რომლებიც ასევე რეკომენდაციის სახით გადაეგზავნება ქალაქის მერს. ბატონი ირაკლი ტაბაღუას თხოვნით საბჭო მუშაობს წერილზე ქალაქში ტექნიკური წყლის გაჩენასთან დაკაშირებით, რომელიც შემდგომში გადაეგზავნება შესაბამის უწყებებსა და სამსახურებს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქალაქში საზოგადაებრივი ტუალეტების გაჩენა და მოწყობა, რომელიც განთავსდება საზოგადოებრივად დატვირთულ ლოკაციებში. ქალაქში არსებული მაღალი საჭიროებიდან

გამომდინარე საბჭო გაუწევს მონიტორინგს აღნიშნულ ინიციატივას.

სხდომის დასასრულს ტრადიციულად მოხდა შეხვედრის შეჯამება, გაანალიზება და შემდეგი შეხვედრისათვის მოსამზადებელი საკითხების განსაზღვრა.ჩაინიშნა დღის წესრიგი და შემდეგი შეხვედრის პრიორიტეტული თემები.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 04/06/2018 წ.